

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №723

2014 წლის 26 დეკემბერი

ქ.თბილისი

იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2014 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2015 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე

მუხლი 1

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად:

1. განისაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის 2014 წლის ის სახელმწიფო პროგრამები, მათი ღონისძიებები/მოცულობები, რომელთა განხორციელებაც უწყვეტად გაგრძელდება 2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში განსახორციელებელი 2015 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე და ამ პროგრამებით გათვალისწინებული მიმწოდებლების გამოვლენამდე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით.

2. სამინისტრომ, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში – ცენტრი) განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები დანართი №1-ის შესაბამისად, მათ შორის:

ა) 2015 წლის 1 იანვრიდან 2014 წელს დადებული ხელშეკრულებების (ასევე, წინა წლებში დადებული ხელშეკრულებების, რომლებიც მოქმედებდნენ 2014 წლის დეკემბერში) გათვალისწინებით, განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმება/გაგრძელება იმავე მიმწოდებლებთან. ამასთან:

ა.ა) ხელშეკრულებების გაფორმების/გაგრძელებისას მათი ღირებულების ყოველთვიური მოცულობა განისაზღვროს 2014 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრული თვის ლიმიტის ოდენობით (დეკემბრის ლიმიტის არსებობისას – დეკემბრის ლიმიტის ოდენობით);

ა.ბ) იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული თვის ლიმიტი, გასაფორმებელი/გასაგრძელებელი ხელშეკრულების თვის ღირებულება განისაზღვროს 2014 წლის ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაყოფით 2014 წელს ამ ხელშეკრულების მოქმედების თვეების რაოდენობაზე;

ა.გ) ხელშეკრულებების გაფორმება მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება) და მათი ღირებულება განისაზღვროს 2014 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტის ოდენობით;

ბ) შენარჩუნებულ იქნეს 2014 წლის ვაუჩერული პროგრამების მიწოდების/განხორციელების/დაფინანსების პრინციპები, ამასთან, 2015 წელს გაგრძელებული ჯანმრთელობის დაცვის 2014 წლის ვაუჩერული პროგრამების ახალი მიმწოდებლების რეგისტრაცია, აგრეთვე, პროგრამებში მონაწილე ყველა მიმწოდებლის სტატუსის ცვლილება განხორციელდეს 2014 წელს განსაზღვრული წესით;



გ) შენარჩუნებულ იქნეს „იმუნიზაციის“ პროგრამის „ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვის“, „სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვის“ და „ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის“ კომპონენტების ფარგლებში დარეგისტრირებული მიმწოდებლების რეგისტრაციის სტატუსი. ამასთან, ახალი მიმწოდებლების რეგისტრაცია და მიმწოდებლის რეგისტრაციის სტატუსის ცვლილება განხორციელდეს 2014 წელს განსაზღვრული წესით;

დ) „ეპიდზედამხედველობის“ პროგრამის „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის“ და „ვირუსული დიარეების კვლევის“ კომპონენტების ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმდეს/გაგრძელდეს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესითა და პირობებით. ამასთან, ახალ მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და/ან არსებულ მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა განხორციელდეს 2014 წელს განსაზღვრული წესით;

ე) „ინფექციური დაავადებების მართვის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მეთოდოლოგია განისაზღვროს შემდეგი წესით:

ე.ა) პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ნოზოლოგიური ჯგუფისათვის განსაზღვრული ღირებულებისა (დანართი №2-ის);

ე.ბ) პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წილი შეადგენს ფაქტობრივი ხარჯის 20%-ს (80% იფარება პროგრამის ხარჯებით);

ე.გ) პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების თანაგადახდას არ ექვემდებარება ამავე პროგრამით გაწეული მომსახურება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით (შემდგომში - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება) დამტკიცებული დანართი №1-ის („საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის;

ე.გ.ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის;

ე.გ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისთვის;

ე.გ.ბ.ა) ნეონატალური ასაკი და ამ ასაკში დაწყებული შემთხვევები;

ე.დ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის („საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის პროგრამით იფარება მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის 80%, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 20%-ს, ხოლო, საპენსიო ასაკის პირებისთვის პროგრამით იფარება მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის 90%. მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 10%-ს, მაგრამ არა უმეტეს ნოზოლოგიური ჯგუფისათვის განსაზღვრული ღირებულებისა (დანართი №2);

ე.ე) დაუშვებელია პროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იმავე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში გამოყენება;

ვ) „სოფლის ექიმის“ პროგრამის ფარგლებში სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებები განისაზღვროს დანართი №3-ის შესაბამისად;

ზ) „სოფლის ექიმის“ პროგრამის „შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობისა და განვითარების“ კომპონენტის ფარგლებში ყოველთვიური ბიუჯეტი შემდეგი ცხრილის მიხედვით:

შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება

დაწესებულება	თვის ბიუჯეტი (ლარებით)
იანვარი	35,923



შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“	თებერვალი	18,823
	მარტი	18,823
	აპრილი	17,059
	მაისი	15,315
	ივნისი	15,335
	ივლისი	15,355
	აგვისტო	15,315
	სექტემბერი	15,315
	ოქტომბერი	15,315
	ნოემბერი	17,059
	დეკემბერი	18,923.

თ) „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ცენტრისათვის განკუთვნილი უფლებამოვალეობების შესრულება განახორციელოს სააგენტომ.

ი) „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს“ კომპონენტის ფარგლებში:

ი.ა) მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს შემდეგი ცხრილით განსაზღვრული ღირებულებებისა

№	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ოპიოიდების, ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები: აღკვეთის მდგომარეობა (მკურნალობა პლაზმაფერეზით/ან მის გარეშე)	1600
2	ოპიოიდების, ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები: სამედიცინო რეაბილიტაცია	400

ი.ბ) მომსახურების ანაზღაურებისას დასაშვებია ამ პუნქტის „ი.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერვისების ცალკეულ შემთხვევად დაფინანსება, თუ დაცულია შემდეგი პირობები:

ი.ბ.ა) სამედიცინო რეაბილიტაცია უტარდებათ მხოლოდ იმ ბენეფიციარებს, ვისაც ამავე კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული აქვთ სტაციონარული დეტოქსიკაცია;

ი.ბ.ბ) სტაციონარული დეტოქსიკაციისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ჩატარებას შორის გასული ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს;

კ) „ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული, ლაბორატორიული და სტაციონარული სერვისების მიმწოდებლები ვალდებული არიან, 2015 წლის პირველი მაისიდან განახორციელონ ჯანდაცვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ტუბერკულოზის ელექტრონულ მოდულში პროგრამის მოსარგებლეების, მათთვის ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებისა და გაწეული მკურნალობის თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვა;

ლ) „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების კომპონენტის განმახორციელებლად სამინისტროს ნაცვლად განისაზღვროს სააგენტო. სამინისტრომ უზრუნველყოს სააგენტოსთვის ამ კომპონენტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების/ უფლებამოსილებების ეტაპობრივი გადაცემა, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის პირველ ივნისამდე



(გარდამავალი პერიოდი). გარდამავალი პერიოდის განმავლობაში კომპონენტის განმახორციელებლად სააგენტო განისაზღვროს იმ დღიდან, როდესაც უფლებამოსილ მხარეთა შორის გაფორმებული იქნება შესაბამისი დოკუმენტები (ხელშეკრულება/შეთანხმება, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.), ამასთან:

ლ.ა) სამინისტრომ უზრუნველყოს ამ პუნქტით განსაზღვრული კომპონენტის ფარგლებში შესყიდვების პროცესში აღებული ვალდებულებებისა და მოთხოვნების გადაცემა სააგენტოსათვის;

ლ.ბ) სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მის ბალანსზე რიცხული მედიკამენტების სააგენტოსთვის გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის არსებული ნაშთები (შექმნილი, მიწოდებული საქონელი, გადარიცხული თანხები და ა.შ.);

ლ.გ) სააგენტომ უნდა უზრუნველყოს გარდამავალ პერიოდში სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების/უფლებამოსილებების ჩანაცვლება;

ლ.დ) სააგენტომ უნდა უზრუნველყოს გარდამავალ პერიოდში დასრულებული ტენდერთა და გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით სამინისტროსათვის დაკისრებული ვალდებულებების/უფლებამოსილებების შესრულება;

ლ.ე) გარდამავალ პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, მიეცეს უფლება სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული კომპონენტის ფარგლებში შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

მ) „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის მსჯავრდებულთა კომისიური შემოწმების უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში, დაავადების შესაბამისი პროფილის კვალიფიციური ექიმის მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურება ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან (სააგენტოსთან) გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე;

ნ) „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის ფარგლებში „პროგრამა „მომავლის ბანაკის“ განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №1114 განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველყოფის კომპონენტი:

ნ.ა) კომპონენტი მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ნ.ა.ა) „მომავლის ბანაკის“ უზრუნველყოფა ექიმისა და ექთნის მომსახურებით;

ნ.ა.ბ) „მომავლის ბანაკის“ უზრუნველყოფა „სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვის მინიმალური მოთხოვნების და პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის №01-17/ნ ბრძანებით განსაზღვრული მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით;

ნ.ბ) კომპონენტის მოსარგებლეები არიან პროგრამა „მომავლის ბანაკის“ მონაწილეები;

ნ.გ) პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში:

ნ.გ.ა) თითოეულ ბანაკს ყოველთვიურად ემსახურება ერთი ექიმი და ერთი ექთან. ყოველთვიურად ექიმის სახელფასო ფონდი განისაზღვრება 650 ლარით, ხოლო ექთნის სახელფასო ფონდი – 455 ლარით;

ნ.გ.ბ) თითოეული ბანაკისათვის ყოველთვიურად შეისყიდება არა უმეტეს 1000 ლარის ღირებულების მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები;

ნ.დ) ამ პუნქტის „ნ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ნ.ე) ამ პუნქტის „ნ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება სსიპ –



სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისგან, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

ნ.ვ) ამ პუნქტის „ნ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებელი განმახორციელებელთან წარადგენს მხოლოდ დადგენილი ფორმის შემთხვევათა რეესტრს და ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ო) „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის ფარგლებში „პროგრამა „მომავლის ზანაკის“ განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №1114 განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველყოფის“ კომპონენტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით, განხორციელდეს „რეფერალური მომსახურების“ პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ კომპონენტის ფარგლებში.

3. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული მედიკამენტების, მომსახურების და სხვა საქონლის შესყიდვების უზრუნველყოფისთვის სამინისტროს, ცენტრს და სააგენტოს მიეცეთ უფლება, დამატებით უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება შემდეგი პროგრამების ფარგლებში, ხოლო, სატენდერო პროცედურების დასრულებამდე და შესყიდული საქონლის მიწოდებამდე იხელმძღვანელონ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით:

ა) „იმუნიზაციის“ პროგრამის ფარგლებში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, უფლება მიეცეს ცენტრს, ამავე კანონით „იმუნიზაციის“ (პროგრამული კოდი – 35 03 02 02) პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა განახორციელოს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, გამარტივებული შესყიდვით, ხოლო „სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვის“ „ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის“ კომპონენტებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა - კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ბ) „ეპიდზედამხედველობის“ პროგრამის ფარგლებში „მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების“, „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის“, „ვირუსული დიარეების კვლევის“, „გრიპის სეზონური გავრცელების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისა (მ.შ. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა) და განხორციელების“ კომპონენტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლის შესყიდვა;

გ) „უსაფრთხო სისხლის“ პროგრამის ფარგლებში „ხარისხის გარე კონტროლის და მონიტორინგის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში ტესტ-სისტემების, რეაგენტების, სახარჯი მასალის შესყიდვა და უანგარო დონორების მხარდაჭერის და მოზიდვის კამპანიის, მათ შორის, „უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა;

დ) „ტუბერკულოზის მართვის“ პროგრამის „ლაბორატორიული კონტროლის“ კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული რეაგენტების, მედიკამენტების, სხვა სახარჯი მასალების, სატრანსპორტო საშუალებების მოვლის/შენახვის მომსახურების და საწვავის შესყიდვა, ხოლო, ნახველის/მასალის პილოტურად შერჩეულ მარშრუტებზე ტრანსპორტირების მიზნით, საფოსტო საკურიერო მომსახურების შესყიდვა შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

დ¹) სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, ფულადი წახალისების საშემოსავლო გადასახადი და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა (თვეში არა უმეტეს 150 პაციენტისა) ფულადი წახალისების დაფინანსება ცენტრმა განახორციელოს „ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამით“ (პროგრამული კოდი - 35 03 02 07 03) გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში;

ე) „აივ-ინფექცია/შიდსის“ პროგრამის ფარგლებში „აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტ-სისტემების და სახარჯი მასალების“ შესყიდვა;

ვ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის „ორსულებში B ჰეპატიტის, აივ-ინფექცია/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისა და დედიდან შვილზე B ჰეპატიტის გადაცემის პრევენციის უზრუნველყოფის“



კომპონენტის ფარგლებში ტესტ-სისტემების, სამედიცინო სახარჯი მასალისა და B ჰეპატიტის იმუნოგლობულინის შესყიდვა;

ზ) „ნარკომანიის“ პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტებისა და საქონლის შესყიდვა;

თ) „დიაბეტის მართვის“ პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტებისა და საქონლის შესყიდვა;

ი) „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტებისა და საქონლის შესყიდვა;

კ) „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის“ პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტებისა და საქონლის შესყიდვა;

ლ) „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტებისა და საქონლის შესყიდვა;

მ) „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ პროგრამის „იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში შესასყიდ მედიკამენტებში დამატებით განისაზღვროს:

მ.ა) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატების შესყიდვა;

მ.ბ) დიდი თალასემიით დაავადებულთათვის რკინის შემოჭავი პრეპარატების შესყიდვა.

4. სააგენტომ და ცენტრმა 2015 წლის 31 იანვრამდე სამინისტროში წარადგინონ ინფორმაცია ამ დადგენილების შესაბამისად დადებული/გაგრძელებული ხელშეკრულებების შესახებ (მათ შორის, ვაუჩერული პროგრამების), რომელიც დადგენილი წესით უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს, ხოლო, განმახორციელებელი დადგენილი წესით აცნობებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5. სააგენტომ და ცენტრმა 2014 წლის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის დაფინანსება იმავე პირობებითა და მოცულობით განახორციელონ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისი კოდეზით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, დანართის №1-ის მიხედვით. ამასთან, 2014 წლის განმავლობაში სადავო შემთხვევები, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2015 წელს, ანაზღაურდეს 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

6. წინა პერიოდის ვალდებულებების დაფინანსება განხორციელდეს ქვემოთ მოყვანილი პირობებით:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით დასრულდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლისა და პროგრამის განმახორციელებლის მიერ 2014 წელს ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, ხელშეკრულებების ფარგლებში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, გარდა, ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა;

ბ) „რეფერალური მომსახურების“ პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში:

ბ.ა) სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ 2013 წელს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებების აუნაზღაურებელი ღირებულება დაფინანსდეს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარდგენილი ანგარიშგების საფუძველზე, „რეფერალური მომსახურების“ პროგრამისთვის 2015 წელს გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში;

ბ.ბ) 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებების აუნაზღაურებელი ღირებულება დაფინანსდეს 2015 წლის 1 მაისამდე მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიშგების საფუძველზე, „რეფერალური მომსახურების“ პროგრამისთვის 2015 წელს გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში. ამასთან, სააგენტომ უზრუნველყოს აღნიშნულის თაობაზე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ინფორმირება;



გ) 2014 წელს „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2014 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №397 დადგენილების შესაბამისად, უწყვეტად გაგრძელებული პროგრამების/კომპონენტების ფარგლებში სააგენტოს მიერ 2014 წლის განმავლობაში აღიარებული ვალდებულებები და 2014 წლის განმავლობაში წარმოშობილი სადავო შემთხვევები, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის №650 დადგენილებით განსაზღვრული წესის თანახმად მიღებული იქნა პროგრამების ადმინისტრირების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ 2014 წელს ან/და მიღებულ იქნება 2015 წელს, ანაზღაურდეს „რეფერალური მომსახურების“ პროგრამისთვის 2015 წელს გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში.

7. ცენტრს მიეცეს უფლება, მის მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული საქონელი (საწვავი, ტესტ-სისტემები, რეაგენტები და სხვა სახარჯი მასალები) გამოიყენოს ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 09.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის დადგენილება №44 - ვებგვერდი, 11.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის დადგენილება №150 – ვებგვერდი, 06.04.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის დადგენილება №286 – ვებგვერდი, 26.06.2015წ.

მუხლი 2

სამინისტრომ, სააგენტომ და ცენტრმა უზრუნველყონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3

დადგენილება, გარდა მე-2 მუხლისა ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან, ხოლო დადგენილების მე-2 მუხლი - გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



დანართი 1

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი			2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი		
პროგრამული კოდი	დაფინანსების წყარო	ღონისძიებები	პროგრამული კოდი	დაფინანსების წყარო	განმახორციელებელი
35 03 03 01	1) დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	ა) კიბოს სკრინინგის კომპონენტი	35 03 02 01	დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	ცენტრი
		ბ) საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის პილოტი			
		გ) I-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია			
		დ) ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა			
35 03 03 02	2) იმუნიზაცია	ა) ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა	35 03 02 02	იმუნიზაცია	ცენტრი
		ბ) სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა			
		გ) ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა			
35 03 03 03	3) ეპიდზედამხედველობის პროგრამა	ა) რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსება (მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები)	35 03 02 03	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	ცენტრი
		ბ) მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება			
		გ) ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა			
		დ) ვირუსული დიარეების კვლევა			
		ე) გრიპის სეზონური გავრცელების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა (მ.შ. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა) და განხორციელება			
35 03 03 04	4) უსაფრთხო სისხლი	ა) დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და ათამანგზე	35 03 02 04	უსაფრთხო სისხლი	ცენტრი
		ბ) ხარისხის გარე კონტროლის და მონიტორინგის უზრუნველყოფა			
35 03 03 05	5) პროფესიულ დაავადებათა პრევენცია		35 03 02 05	პროფესიულ დაავადებათა პრევენცია	ცენტრი
35 03 03 06	6) ინფექციური დაავადებების მართვა		35 03 02 06	ინფექციური დაავადებების მართვა	სააგენტო
35 03 03 07	7) ტუბერკულოზის მართვა	ა) ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ფარგლებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული ღონისძიებების დაფინანსება – 12 500 ლარი თვეში)	35 03 02 07	ტუბერკულოზის მართვა	სააგენტო
		ბ) ეპიდზედამხედველობისა და ტუბერკულოზის პროგრამის მართვის			ცენტრი

		მონიტორინგი			
		გ) ლაბორატორიული კონტროლი			ცენტრი
		დ) სტაციონარული მომსახურება			სააგენტო
		ე) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის ტუბერკულოზის მართვისათვის მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა			სააგენტო
		ვ) სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ფუნქციონირების ხელშეწყობის კომპონენტი			სააგენტო
35 03 03 08	8) აივ-ინფექცია/შიდსი	ა) აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება	35 03 02 08	აივ-ინფექცია/შიდსი	ცენტრი
		ბ) ამბულატორიული მომსახურება			სააგენტო
		გ) სტაციონარული მომსახურება			სააგენტო
35 03 09 09	9) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	ა) ანტენატალური მეთვალყურეობა	35 03 02 09	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	სააგენტო
		ბ) მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა			სააგენტო
		გ) გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა			ცენტრი
		დ) ორსულებში B ჰეპატიტის, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა			სააგენტო
		ე) ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე			ცენტრი
		ვ) ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა			სააგენტო
		ზ) ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა			სააგენტო
35 03 03 10	10) ნარკომანია	ა) სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, ფსიქოაქტიური ნივთიერებების და სხვა სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს	35 03 02 10	ნარკომანია	სააგენტო
		ბ) ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში			
		გ) ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა			
		დ) ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა			
35 03 04 01	11) ფსიქიკური ჯანმრთელობა	ა) ამბულატორიული მომსახურება	35 03 03 01	ფსიქიკური ჯანმრთელობა	სააგენტო
		ა.ა) ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება			
		ა.ბ) ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია			
		ა.გ) ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა			
		ა.დ) ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია			

		ბ) სტაციონარული მომსახურება			
		ბ.ა) ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება			
		ბ.ბ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავმესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი			
		ბ.გ) ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება			
35 03 04 02	12) დიაბეტის მართვა	ა) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება ბ) სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება გ) შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა	35 03 03 02	დიაბეტის მართვა	სააგენტო
35 03 04 03	13) ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება		35 03 03 03	ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება	სააგენტო
35 03 04 04	14) დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია	ა) ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	35 03 03 04	დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია	სააგენტო
		ბ) პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა			სააგენტო
		გ) ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება			სამინისტრო
		დ) თირკმლის ტრანსპლანტაცია			სააგენტო
		ე) ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა			სააგენტო
		ვ) სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა			სააგენტო
35 03 04 05	15) ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა	ა) ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა ბ) ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა გ) ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	35 03 03 05	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა	სააგენტო
35 03 04 06	16) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა	ა) იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება	35 03 03 06	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა	სააგენტო
		ბ) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება			
		გ) ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება			
		დ) იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა			
35 03 04 07	17) სასწრაფო გადაუდებელი	ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება	35 03 03 07	სასწრაფო გადაუდებელი	სააგენტო

	დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება	ბ) სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება		დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება	
35 03 04 08	18) სოფლის ექიმი	<p>ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა)</p> <p>ბ) სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება</p> <p>გ) შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება</p> <p>დ) სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა</p>	35 03 03 08	სოფლის ექიმი	სააგენტო
35 03 04 09	19) რეფერალური მომსახურება	<p>ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი</p> <p>ბ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურების კომპონენტი</p> <p>გ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი</p> <p>დ) მსჯავრდებულთა კომისიური შემოწმების უზრუნველყოფა</p>	35 03 03 09	რეფერალური მომსახურება	სააგენტო
35 03 04 10	20) სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება	<p>ა) სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი</p> <p>ბ) სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა დამატებითი გამოკვლევების კომპონენტი</p>	35 03 03 10	სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება	სააგენტო

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და შემთხვევის ღირებულებები

	ნოზოლოგია	ICD კოდი	ღირებულება (ლარი)
1	ინფექციური		
1.1	ბაქტერიული მენინგიტი	A27.8; A32.1; A39.0; A39.2; A39.4; A39.9; G00.0; G00.1; G00.2; G00.3; G00.8; G00.9	2300
1.2	ბაქტერიული მენინგოენცეფალიტი	A02.2; A27.8; A32.1; A39.0; A39.2; A39.4; A39.8; A39.9; G00.0; G00.1; G00.2; G00.3; G00.8; G00.9; G04.2	3200
1.3	ვირუსული მენინგიტი	A87; A87.0; A87.1; A87.2; A87.9; B00.3; B01.0; B02.1; B05.1; B26.1	750
1.4	ვირუსული მენინგოენცეფალიტი	A80; A83; A84; A85; A85.0; A85.1; A86; A87.2; B00.4; B01.1; B02.0; B05.0; B06.0; B26.2; G05.1*	3000
1.5	ანთებითი პოლინეიროპათიები	A36.8; B02.2; B26.8; G61; G63.0	3800
1.6	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	B15.9; B16.1; B16.9; B17; B17.1; B17.2	1500
1.7	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი-პათოლოგიური პროცესის მაღალი აქტივობით (სპეცმედიკამენტების გარეშე)	B18.0; B18.1; B18.2; B18.9	850
1.8	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით (სპეცმედიკამენტების გარეშე)	B18.0; B18.1; B18.2; B18.9	1200
1.9	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით, ასციტით და/ან ენცეფალოპათიით, და/ან ჰეპატორენული სინდრომით (სპეცმედიკამენტების გარეშე)	B18.0; B18.1; B18.2; B18.9	3000
1.10	ბოტულიზმი	A05.1	1400
1.11	სხვა საკვებისმიერი ინტოქსიკაციები	A05; A05.0; A05.2; A05.3; A05.4; A05.8; A05.9	250
1.12	ნაწლავთა ინფექციები მიმდინარე ჰემოკოლიტით	A02.0; A03; A04.2; A04.3; A04.4; A04.5; A04.6; A04.7; A06.0; A06.2; A07.0; A09	800
1.13	სხვა ნაწლავთა ინფექციები	A02.0; A03; A04.2; A04.3; A04.4; A04.5; A04.6; A04.7; A06.0; A06.2; A07.0; A09; A00; A01; A02; A02.1; A02.8; A02.9; A04; A04.0; A04.1; A04.4; A04.8; A04.9; A06.1; A07.1; A07.2; A07.3; A07.8; A07.9; A08; A08.0; A08.1; A08.2; A08.3; A08.4; A08.5	380
1.14	სხვა ბაქტერიული ინფექციები	A06.4; B01.8; A20; A21; A21.0; A21.1; A21.2; A21.3; A21.7; A21.8; A21.9; A22; A22.0; A22.1; A22.2; A22.7; A24; A25; A26; A27; A27.0; A27.8; A27.9; A28; A28.2; A32; A35; A36; A36.0; A36.1; A36.2; A36.8; A36.9; A37; A37.0; A37.1; A37.9; A38; A46; A48.1; A48.2; A49.3; A49.9; A68; A69; A69.2; A70; A74; A75-79; A79.9; B05.2; J01; J03; J03.9; J11.0; J10.0; J15.9; J16.0; L02	880

1.15	ჰემორაგიული ცხელებები	A91; A98.0; A98.5; A98.8; A99	1400
1.16	ჰერპესვირუსული ინფექციები	B00; B01.2; B01.8; B01.9; B02; B25; B27; B27.0; B27.1; B27.8; B27.9	1100
1.17	სხვა ვირუსული ინფექციები	A82; B05.2; B05.9; B06; B06.8; B08; B09; B26; B26.0; B26.3; B34; B34.0; B34.1; B34.3; B34.9; J05.0; J10; J10.1; J11; J11.1; J12.9; J21.0	550
1.18	დაზუსტებული ცხელება-ჰიპერპირექსია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული	R50; R50.9	1200
2	სეფსისი		
2.1	სეფსისი	A40.0-დან A40.9-ის ჩათვლით; A41.0-დან A41.9-ის ჩათვლით; A49.8; A49.9; A54.8; A22.7; A24.1; A26.7; A28.2; A32.7; B00.7; B37.6; B37.7; I33.0-დან I33.9-ის ჩათვლით; I39.8; O85; P36.0-დან P36.9-ის ჩათვლით; T80.2; T81.4; T88.0	2150
2.2	სეფსისი მძიმე მიმდინარეობით	A40.0-დან A40.9-ის ჩათვლით; A41.0-დან A41.9-ის ჩათვლით; A49.8; A49.9; A54.8; A22.7; A24.1; A26.7; A28.2; A32.7; B00.7; B37.6; B37.7; I33.0-დან I33.9-ის ჩათვლით; I39.8; O85; P36.0-დან P36.9-ის ჩათვლით; T80.2; T81.4; T88.0	3420
2.3	ქირურგიული მკურნალობა	A40.0-დან A40.9-ის ჩათვლით; A41.0-დან A41.9-ის ჩათვლით; A48.0; A49.8; A49.9; B37.7; T80.2; T81.4	3025
3	პარაზიტოლოგია		
3.1	პარაზიტოლოგია (სტაციონარი)	A06; A07; A23; B50 -დან B55-ის ჩათვლით; B65-დან B67-ის ჩათვლით; B75	1200

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2015წ.

სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებები

№	დაწესებულება	თვის ბიუჯეტი (ლარებით)
1	ზემო აფხაზეთის საავადმყოფო	17,674
2	გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო	6,358
3	საბერიოს საექიმო ამბულატორია	12,047
4	ოტობაიას საექიმო ამბულატორია	4,332
5	ნაბაკევის საექიმო ამბულატორია	2,599
6	მზიურის საექიმო ამბულატორია	2,599
7	ოქუმის საექიმო ამბულატორია	4,332
8	ზემო ბარდების საექიმო ამბულატორია	2,599
9	ქვემო ბარდების ამბულატორია	867
10	რეფის საექიმო ამბულატორია	760
11	შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა“	15,518
12	შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორია“	5,000
13	შპს „ქ. ჯვარის პოლიკლინიკა“	5,272
14	შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (წალკის მუნიციპალიტეტი) (2015 წლის 23 აპრილის ჩათვლით)	6,014

15	შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) (2015 წლის 23 აპრილის ჩათვლით)	21,490
16	შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (თიანეთის მუნიციპალიტეტი) (2015 წლის 23 აპრილის ჩათვლით)	25,245
17	შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ (დაბა ბაკურიანი) (2015 წლის 23 აპრილის ჩათვლით)	3,500
18	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (წალკის მუნიციპალიტეტი) (2015 წლის 24 აპრილიდან)	6,014
19	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) (2015 წლის 24 აპრილიდან)	21,490
20	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (თიანეთის მუნიციპალიტეტი) (2015 წლის 24 აპრილიდან)	25,245
21	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (დაბა ბაკურიანი) (2015 წლის 24 აპრილიდან)	3,500
22	შპს „შატილის საექიმო ამბულატორია“	2,000
23	შპს „ბარისახოს ამბულატორია“	1,170
24	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი)	16,200
25	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ონის მუნიციპალიტეტი)	11,000
26	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ცაგერის მუნიციპალიტეტი)	16,500
27	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (მესტიის მუნიციპალიტეტი)	9,632
28	შპს „ერედვის ამბულატორია“	8,470
29	შპს „ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია“	3,582
30	შპს „ქსუისის ამბულატორია“	8,160
31	შპს „ქურთის საავადმყოფო“	35,976
32	შპს „ახალგორის რაიონული პოლიკლინიკა“	3,460
33	შპს „ახალგორის რაიონული საავადმყოფო“	5,000
34	შპს „ლარგვისის საექიმო ამბულატორია“	1,271
35	შპს „ნიქოზის ამბულატორია“	5,688
36	შპს „წინაგრის საექიმო ამბულატორია“	1,733
37	შპს „ტყვიავის საავადმყოფო“	3,400
38	შპს „ჭუბერი-უშგულის სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება“	14,504
39	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ლენტეხის მუნიციპალიტეტი)	12,500